ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის
რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №4-2

ქ. ბათუმი, 30 მაისი, 2012 წ. 10^{30} სთ

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

დავით ლეკვეიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

მამუკა თამაზაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონ-სტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგე-ნის მომსახურებაა სახელმწიფო შესყიდვაზე საუკეთესო საკონკურსო დოკუმენტაციის გამოვლენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2012 წლის 15 მაისს გამოცხადებული N467 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინა-დადების მიღება იწყებოდა 2012 წლის 16 მაისს და მთავრდებოდა 2012 წლის 25 მაისის 18^{00} საათზე. 2012 წლის 25 მაისის 12^{25} საათზე საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოადგინა ერთმა პრეტენდენტმა: შპს „ჯეორესეტმა“ (2012 წლის 25 მაისი, 12^{25} სთ). დალუქული პაკეტი საკონკურსო კომისიის მიერ გაიხსნა 2012 წლის 30 მაისს. საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტის თანახმად კონკურსანტს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში უნდა მიეთი-თებინა:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი; ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია, ს/კ 245576826); გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი; განხილვისას აღმოჩნდა, რომ შპს „ჯეორესეტის" მიერ წარმოდგენილ გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტის „ბ" (შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია, ს/კ 245576826)) და „დ" (საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

რამდენადაც საკონკურსო განცხადების 1.6 პუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს საკონკურსო წინადადების დისკვალიფიკაციას, გამომდინარე აქედან, შპს „ჯეორესეტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ექვედებარება დისკვალიკაციას.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად და კონკურსის (N467) საკონკურსო განცხადების 1.6 პუნქტის თანახმად შპს „ჯეორესეტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ექვედებარება დისკვალიკაციას;

2. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საუკეთესო საკონკურსო დოკუმენტაციის გამოვლენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2012 წლის 15 მაისს გამოცხადებულ კონკურსს (კონკურსი N467) მიენიჭოს სტატუსი - დასრულებულია უარყოფითი შედეგით.

3. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს წინამდებარე ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 2012 წლის 30 მაისისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ლეკვეიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: არჩილ ვანაძე

ვლადიმერ ხინთიბიძე

მამუკა თამაზაშვილი

საგადახდო დავალება N 12

თარიღი 24 / მაისი / 2012

რეფერენსი

თანხა

50-00

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი

გადამხდელი შპს "ჯეორესეტი" 204560242

გადამხდელის ანგარიში GE87BG0000000268732700

გადამხდელის ბანკი სს "საქართველოს ბანკი", ცენტრალური ფ ბანკის კოდი BAGAGE22

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება შპს "ჯეორესეტი"

საიდენტიფიკაციო კოდი 204560242

მიმღები სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი GE52BR0000010591718543

მიმღების ბანკი/ხაზინა სს ბანკ "რესპუბლიკი"-ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი REPLGE22

გადახდის დანიშნულება სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური

დამატებითი ინფორმაცია

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი 24 / 05 / 20 12

ბანკში შემოსვლის თარიღი 24 / 05 / 20 12

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

BANK REPUBLIC 978 BAGAGE22

ხელმოწერები:

საქართველოს მეტალურგიული ჯეორესეტი * 204560242 * TBILISI GEORESET LTD GEORGIA

შტამპის ადგილი

ქალაქ ბათუმის მერი

THE MAYOR OF BATUMI

№ 26-04/2523 „ 30 “ „ 05 “ 2012 წ.

შპს „ჯეორესეტი“-ს დირექტორს
ბატონ თ. შენგელიას

ბატონო თამაზ,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის საკონკურსო კომისიამ განიხილა ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე კონკურსში (N467) თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გამომდინარე აქედან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად და კონკურსის (N467) საკონკურსო განცხადების 1.6 პუნქტის თანახმად, თქვენ დისკვალიფიცირებული ხართ ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ, ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე კონკურსში (N467).

დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე შეტყობინება, გაგზავნილ იქნება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსის (N467) "შედეგების" ველში განსათავსებლად.

პატივისცემით,

ქ. ბათუმის მერი **რობერტ ჩხაიძე**

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge